შპს „BLACK SEA PILOT SERVICE“-ის

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შპს “BLACK SEA PILOT SERVICE”

სარჩევი

გვერდი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და დამტკიცების შესახებ 3

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა----------4-6

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიში 7
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიში 8
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში 9
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში.....10

ფინანსურ ანგარიშგებასთან არსებული შენიშვნები:

1. შპს "BLACK SEA PILOT SERVICE"და მისი საქმიანობა 11
2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა 11
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზებიდა მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში 21
4. ძირითადი საშუალებები.....24
5. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში.....25
6. მარაგები 25
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....25
8. ფული და ფულის ექვივალენტები.....26
9. საწესდებო კაპიტალი.....26
10. ბანკის სესხი.....26
11. შემოსავალი.....27
12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი 28
13. სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯი 28
14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები.....29
15. ფინანსური რისკების მართვა.....29
16. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....32
17. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები 33

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „BLACK SEA PILOT SREVICE“-ის („შემდგომში - კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას 2017 და 2018 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს") შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევასა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი **ფინანსური მენეჯერი**

ომარ მამარდაშვილი ---------- **სოფიო ღოღობერიძე** ----------

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

დამოუკიდებელი აუდიტორული დასკვნა
შპს "BLACK SEA PILOT SERVICE"-ის აქციონერებს

ჩვენ მოვახდინეთ **შპს "BLACK SEA PILOT SERVICE "-ის** (შემდგომში „კომპანია") ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს **2018** წლის **31** დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას, მითითებული თარიღისთვის დასრულებული წლისთვის მოგება ან ზარალის ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებას და მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკებსა და სხვა ახსნა-განმარტებითი ხასიათის ინფორმაციის შემცველ შენიშვნებს.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას **შპს "BLACK SEA PILOT SERVICE"-ის** 2018 წლის 31 დეკემბრისათვის, ასევე მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის მისი ფინანსური საქმიანობის შედეგებსა და ფულად ნაკადებს ფინანსური აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

დასკვნის საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - "აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ **შპს "BLACK SEA PILOT SERVICE"-**სგან იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხად მიიჩნევა ისეთი საკითხი, რომელიც ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ჩვენ მიერ ჩატარებულ მიმდინარე პერიოდის აუდიტში. ეს საკითხები განვიხილეთ მხოლოდ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე არ გამოვთქვამთ ცალკე მოსაზრებას.

ძირითადი საკითხი - სს „მეტრო ავრასია ინვესთმენთ ჯორჯია"-ს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს აკუმულირებული ფინანსური აქტივების ფინანსურ ინსტრუმენტებში ინვესტირება და მასთან დაკავშირებული ფინანსური ოპერაციების განხორციელება. ჰოლდინგური კომპანიის ძირითადი შემოსავალია : საპროცენტო შემოსავალი და შვილობილი კომპანიებისგან მიღებული დივიდენდები.

როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტი განმავლობაში

- შევაფასეთ შემოსავლის აღიარების სისტემა;
- შევამოწმეთ შვილობილი კომპანიების დაფინანსების მიზნობრიობა;
- შევამოწმეთ შემოსავლების აღიარების პროცესის შესაბამისი მნიშვნელოვანი შიდა კონტროლი;

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია გულისხმობს წლიურ ანგარიშში ასახულ ინფორმაციას გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და მასზე გაცემული აუდიტორული დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხვრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, რომელიც აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მივიღეთ, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობისა და მართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

პასუხისმგებლობა ზემოაღნიშული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მომზადებასა და ზუსტად წარმოდგენაზე ეკისრება მენეჯმენტს. ხსენებული პასუხიმგებლობა ითვალისწინებს: ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან და ზუსტად წარმოდგენასთან დაკავშირებით შიდა კონტროლის დაგეგმვას, განხორციელებასა და უზრუნველყოფას იმგვარად, რომ მათში არ იყოს მნიშვნელოვანი უზუსტობები თაღლითობისა და შეცდომის გამო, ამასთან სათანადო სააღრიცხვო მეთოდების შერჩევას და გამოყენებას და არსებულ პირობებში სათანადო ბუღალტრული შეფასებების წარმოდგენას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი პასუხისმგებლობაა ჩვენს მიერვე განხორციელებული აუდიტის საფუძველზე გავაკეთოთ დასკვნა აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშებზე. აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. ამ სტანდარტებით მოითხოვება, რომ დავიცვათ ეთიკური მოთხოვნები და გეგმა და აუდიტი ჩავატაროთ დასაბუთებული რწმუნების მოპოვების მიზნით იმის თაობაზე, რომ ფინანსურ ანგარიშებში არ არის რაიმე სახის არსებითი უზუსტობა.

ასს-ს შესაბამისად, აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არ გამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ

გარიგებებს, გაყალბებებს, განზრახ უმოქმედობას, ფაქტების დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას.

• ვახდენთ აუდიტის შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმების გააზრებას ვითარების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დასაგეგმად და არა შიდა კონტროლის მექანიზმების ეფექტურობის შესახებ აზრის გამოსახატავად.

• ვაფასებთ გამოყენებული საბუღალტრო პოლიტიკების შესაბამისობას, ასევე ხელმძღვანელობის მხრიდან წარმოდგენილი სააღრიცხვო შეფასებებისა და განმარტებითი შენიშვნების მიზანშეწონილობას.

• გამოგვაქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ მოქმედი საწარმოს საბუღალტრო საფუძვლების გამოყენების მიზანშეწონილობის შესახებ, ასევე მიღებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით გაურკვევლობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებებში, რომლებმაც შესაძლოა ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი განაგრძოს ფუნქციონირება როგორც მოქმედმა საწარმომ. ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღება უნდა გავამახვილოთ შესაბამის ინფორმაციაზე ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ამგავარი ინფორმაცია არაადეკვატური იქნება, შევცვალოთ ჩვენი დასკვნა. ჩვენი მსჯელობები ეფუძნება ჩვენი აუდიტორთა დასკვნის შედგენის თარიღამდე მიღებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა აიძულოს კომპანია შეწყვიტოს ფუნქციონირება, როგორც მოქმედმა საწარმომ.

• ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების მთლიან წარმოდგენას, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და იმას, წარმოაჩენს თუ არა ფინანსური ანგარიშგება ძირითად გარიგებებსა და მოვლენებს ისეთი ფორმით, რომ უზრუნველყოფილ იქნას მთლიანი დოკუმენტის კეთილსინდისიერად წარდგენა.

• ვიღებთ შესაბამის და სათანადო აუდიტორულ მტკიცებულებას კომპანიის შიგნით არსებული კომპანიების ან ბიზნეს საქმიანობის ფინანსურ ინფორმაციასთან დაკავშირებით, რათა გამოვთქვათ აზრი ფინანსურ ანგარიშგებაზე.

ჩართვის უფლებამოსილებით აღჭურვილ პირებს, სხვებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სიტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.
მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორი არის მაია ფეიქრიშვილი.

ეზრა გიგეჩაური

შპს "პრესტიჟ-აუდიტი"

2019 წლის 22 იანვარი

შპს „BLACK SEA PILOT SERVICE"-ის
ფინანსური მდგომარეობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2018	2017	2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		573,915	632,000	645,500
არამატერიალური აქტივები		1,234.00	1,452.00	1,709.00
გრძელვადიანი ინვესტიცია		1,781,745	1,168,990	566,530
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,356,894**	**1,802,442**	**1,213,739**
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
დებიტორული დავალიანება და ავანსები		12,650		
მარაგები		5,973	7,743	4,290
მოთხოვნა ბიუჯეტის წინაშე		63,741	61,718	
ფულადი სახსრები და მათი ექვი.		108,860	20,667	2,019
სულ მიმდინარე აქტიები		**191,224**	**90,128**	**6,309**
სულ აქტივები		**2,548,118**	**1,892,570**	**1,220,048**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		13,930	13,930	13,930
გაუნაწილებელი მოგება		1,209,024	55,653	
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი		859,538	1,153,370	651,493
სულ კაპიტალი		**2,082,492**	**1,222,953**	**665,423**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი		390,473	385,167	439,319
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**390,473**	**385,167**	**439,319**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		73,711	31,576	7,700
გადავადებული მოგების გადასახადი				56,193
გადასახდელი გადასახადები				7,343
გადასახდელი ხელფასი				70
გადასახდელი დივიდენდი		1,442	252,874	44,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**75,153**	**284,450**	**115,306**
სულ ვალდებულებები		**465,626**	**669,617**	**554,625**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,548,118**	**1,892,570**	**1,220,048**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი

ომარ მაჭარდაშვილი----------

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

ფინანსური მენეჯერი

სოფიო ღოღობერიძე ----------

Black Sea Pilot Service Ltd
245621625
A Private Company

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „BLACK SEA PILOT SERVICE"-ის
მოგება-ზარალის და სხვა შემოსავლის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2018	2017
ამონაგები	2,816,282	2,921,618
პირდაპირი ხარჯები	(32,814)	(20,719)
მთლიანი მოგება	**2,783,468**	**2,900,899**
კომერციული ხარჯები		
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,841,868)	(1,718,283)
ფინანსური შემოსავლები	923	12,044
ფინანსური ხარჯები	(35,679)	(36,786)
განსაკუთრებული ხარჯები	(494)	(4,503)
საანგარიშო წლის მოგება	**906,350**	**1,153,371**
მოგების გადასახადი	*(46,812)*	
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	***859,538***	***1,153,371***

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი

ომარ მამარდაშვილი----------

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

ფინანსური მენეჯერი

სოფიო ღოღობერიძე----------

შპს „BLACK SEA PILOT SERVICE"-ის
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია დებიტორებისგან	2,791,074	2,924,104
გაცემულია მომწოდებლებზე	(900,765)	(976,392)
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე		(332)
გადახდილი გადასახადები	(323,242)	(338,206)
გადახდილია ხელფასები	(1,199,440)	(1,093,008)
საოპერაციო ხარჯები	(2,313)	(2,778)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(3,365)	283
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**361,949**	**513,671**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	107,064	64,358
დაფარულია სესხი	(107,979)	(104,229)
დაფარულია პროცენტი	(24,441)	(32,825)
საკურსო სხვაობის ხარჯი		(1,327)
გადახდილი დივიდენდი	(248,400)	(421,000)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(273,756)**	**(495,023)**
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	**88,193**	**18,648**
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	20,667	2,019
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	**108,860**	**20,667**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი

ომარ მამარდაშვილი

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

ფინანსური მენეჯერი

სოფიო ღოღობერიძე

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „BLACK SEA PILOT SERVICE"-ის
კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**13 930**	**1 209 024**	**1 222 954**
მოგება 2018 წელს	-	**859 538**	**859 536**
განაწილებულია			**0**
სულ კაპიტალში ცვლილება	-		
კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**13 930**	**2 068 572**	**2 082 492**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი

ომარ მამარდაშვილი

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

ფინანსური მენეჯერი

სოფიო ღოღობერიძე

	შენიშვნა	2018	2017	2016
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		573,915	632,000	645,500
არამატერიალური აქტივები		1,234.00	1,452.00	1,709.00
გრძელვადიანი ინვესტიცია		1,781,745	1,168,990	566,530
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,356,894**	**1,802,442**	**1,213,739**
მიმდინარე აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
დებიტორული დავალიანება და ავანსები		12,650		
მარაგები		5,973	7,743	4,290
მოთხოვნა ბიუჯეტის წინაშე		63,741	61,718	
ფულადი სახსრები და მათი ექვი.		108,860	20,667	2,019
სულ მიმდინარე აქტიები		**191,224**	**90,128**	**6,309**
სულ აქტივები		**2,548,118**	**1,892,570**	**1,220,048**
კაპიტალი და ვალდებულებები				
კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი		13,930	13,930	13,930
გაუნაწილებელი მოგება		1,209,024	55,653	
საანგარიშო წლის მოგება/ზარალი		859,538	1,153,370	651,493
სულ კაპიტალი		**2,082,492**	**1,222,953**	**665,423**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხი		390,473	385,167	439,319
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**390,473**	**385,167**	**439,319**
მიმდინარე ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები		73,711	31,576	7,700
გადავადებული მოგების გადასახადი				56,193
გადასახდელი გადასახადები				7,343
გადასახდელი ხელფასი				70
გადასახდელი დივიდენდი		1,442	252,874	44,000
სულ მიმდინარე ვალდებულებები		**75,153**	**284,450**	**115,306**
სულ ვალდებულებები		**465,626**	**669,617**	**554,625**
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		**2,548,118**	**1,892,570**	**1,220,048**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი **ფინანსური მენეჯერი**

ომარ მამარდაშვილი---------- **სოფიო ღოღობერიძე** ----------

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2018	2017
ამონაგები	2,816,282	2,921,618
პირდაპირი ხარჯები	(32,814)	(20,719)
მთლიანი მოგება	**2,783,468**	**2,900,899**
კომერციული ხარჯები		
ადმინისტრაციული ხარჯები	(1,841,868)	(1,718,283)
ფინანსური შემოსავლები	923	12,044
ფინანსური ხარჯები	(35,679)	(36,786)
განსაკუთრებული ხარჯები	(494)	(4,503)
საანგარიშო წლის მოგება	**906,350**	**1,153,371**
მოგების გადასახადი	***(46,812)***	
საანგარიშო წლის წმინდა მოგება	***859,538***	***1,153,371***

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი **ფინანსური მენეჯერი**

ომარ მამარდაშვილი---------- **სოფიო ღოღობერიძე** ----------

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
მიღებულია დებიტორებისგან	2,791,074	2,924,104
გაცემულია მომწოდებლებზე	(900,765)	(976,392)
გაცემულია ანგარიშვალდებულ პირზე		(332)
გადახდილი გადასახადები	(323,242)	(338,206)
გადახდილია ხელფასები	(1,199,440)	(1,093,008)
საოპერაციო ხარჯები	(2,313)	(2,778)
არა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	(3,365)	283
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	**361,949**	**513,671**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
მიღებული სესხი	107,064	64,358
დაფარულია სესხი	(107,979)	(104,229)
დაფარულია პროცენტი	(24,441)	(32,825)
საკურსო სხვაობის ხარჯი		(1,327)
გადახდილი დივიდენდი	(248,400)	(421,000)
ფინანსურ საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	**(273,756)**	**(495,023)**
წმინდა(კლება)/მატება ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებში	**88,193**	**18,648**
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის დასაწყისში	20,667	2,019
ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები წლის ბოლოს	**108,860**	**20,667**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი **ფინანსური მენეჯერი**

ომარ მამარდაშვილი---------- **სოფიო ღოღობერიძე** ----------

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
კაპიტალი 2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**13 930**	**1 209 024**	**1 222 954**
მოგება 2018 წელს	-	**859 538**	**859 536**
განაწილებულია			**0**
სულ კაპიტალში ცვლილება	-		
კაპიტალი 2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**13 930**	**2 068 572**	**2 082 492**

გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 15 იანვარს

დირექტორი **ფინანსური მენეჯერი**

ომარ მამარდაშვილი---------- **სოფიო ღოღობერიძე** ----------

15 იანვარი 2019 წელი
საქართველო, ბათუმი

11-33 გვერდებზე წარმოდგენილი განმარტებითი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

1. შპს „BLACK SEA PILOT SERVICE“ და მისი საქმიანობა

შპს ""BLACK SEA PILOT SERVICE"–ი დაფუძნდა 2008 წლის 27 ივლისს.

კომპანიის იურიდიული მისამართია :
საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, ჟორდანიას #3

ფაქტიური ადგილმდებარეობა:
საქართველო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა, ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის #5, პლაზა, ოფისი #309.

ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: მისასვლელებთან და აკვატორიის ფარგლებში გემების სალოცმანო გაცილება;

- გემების აგენტირება და საექსპედიტორო მომსახურება;
- კრუინგული მომსახურება;'
- სადევიაციო მომსახურება;
- საბუნკრო მომსახურება;
- სავოჩმანო მომსახურება

კომპანიას არა აქვს ფილიალები.

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უშუალო მფლობელები არიან:

1) მამუკა თალაკვაძე – 35%;
2) ირაკლი ფარსენაძე- 35%;
3) კახაბერ სარჯველაძე - 15%;
4) მუთაზ დევაძე - 15%;

კომპანიის სპეციფიკიდან გამომდინარე ყველა პარტნიორი არის პროფესიონალი ლოცმანი და შორეული ნაოსნობის კაპიტანი.

ანგარიშგების ვალუტა.
ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ქართულ ლარში.

2. ბუღალტრული აღრიცხვის მნიშვნელოვანი პოლიტიკების მიმოხილვა

მომზადების საფუძვლები. ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).
მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის

საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

მოცემული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადებაში გამოყენებული ძირითადი საბუღალტრო პოლიტიკები მოცემულია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ფინანსური ინსტრუმენტები – გაზომვის ძირითადი პირობები.
ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.
მსს ფასს მე-11 განყოფილების თანახმად, საწარმომ ყველა ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტის აღრიცხვისთვის უნდა გამოიყენოს ამორტიზებული ღირებულების მოდელი, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე.

მსს ფასს მე-11 განყოფილების მიხედვით - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“, საწარმო ძირითად ფინანსურ აქტივებსა და ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს აღიარებს ამორტიზებული ღირებულებით, გაუფასურების ზარალის გამოკლებით, გარდა არაკონვერტირებად პრივილეგირებულ აქციებსა და არადაბრუნებად ჩვეულებრივ ან პრივილეგირებულ აქციებში განხორციელებული ინვესტიციებისა, რომლებიც საჯაროდ იყიდება ფასიანი ქაღალდების ბაზარზე, ან რომელთა რეალური ღირებულების საიმედოდ შეფასება სხვაგვარად არის შესაძლებელი, მიზანშეუწონელი დანახარჯების, ან ძალისხმევის გარეშე და მათი შეფასება ხდება რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარი ცვლილებები აისახება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:
▪ თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;
▪ გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;
▪ მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

▪ გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე.

იმისათვის, რომ საწარმომ შეაფასოს, ამა თუ იმ მოთხოვნის შესრულებას დასჭირდება თუ არა მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა ფინანსურ ანგარიშგებაში თავდაპირველი აღიარებისას, მაგალითად მსს სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის, იგი უნდა დაეყრდნოს თავდაპირველი აღიარების მომენტისთვის ამ მოთხოვნასთან დაკავშირებულ დანახარჯებსა და სარგებელს. თუ მიზანშეუწონელი დანახარჯის ან ძალისხმევის მიზეზით განთავისუფლება შეეხება თავდაპირველი აღიარების შემდგომ პერიოდსაც, მაგალითად მუხლის შემდგომ შეფასებას, მაშინ ამ შემდგომი თარიღისთვის ხელახლა უნდა შეფასდეს მიზანშეუწონელი დანახარჯები ან ძალისხმევა, მოცემული თარიღისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე.

საზოგადოდ, საწარმო ყველა სხვა ფინანსურ აქტივსა და ფინანსურ ვალდებულებას აღიარებს რეალური ღირებულებით, ხოლო რეალურ ღირებულებაში მომხდარ ცვლილებებს ასახავს მოგებაში ან ზარალში, თუ წინამდებარე სტანდარტით არ მოითხოვება ან ნებადართული არ არის ღირებულების განსაზღვრა სხვა საფუძვლით, მაგალითად თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით.

არაფინანსური აქტივები

არაფინანსური აქტივების უმეტესობა, რომლებსაც საწარმო თავდაპირველად პირვანდელი ღირებულებით აღიარებს, შემდგომში შეფასდება სხვა საფუძვლით.
ძირითად საშუალებებს აფასებს დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით შემცირებულ თვითღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (თვითღირებულების მოდელი), ან გადაფასებულ ღირებულებასა და ანაზღაურებად ღირებულებას შორის უმცირესი თანხით (გადაფასების მოდელი).
მარაგს აფასებს თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით; და
გაუფასურების ზარალს აღიარებს ისეთ არაფინანსურ აქტივებთან დაკავშირებით, რომლებიც ან გამოყენების პროცესშია, ან გამიზნულია გასაყიდად.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება

აღიარება არის საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში იმ მუხლის ასახვის პროცესი, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის, ვალდებულების, შემოსავლის ან ხარჯის განმარტებას და შემდეგ კრიტერიუმებს:

- მოსალოდნელია ამ მუხლით გამოწვეული მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლა ან საწარმოდან გასვლა; და
- მუხლს გააჩნია თვითღირებულება ან ღირებულება, რომელიც შეიძლება საიმედოდ შეფასდეს. თუ არ აღიარდება მუხლი, რომელიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, ამის გამოსწორება არ შეიძლება არც გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით და არც განმარტებით შენიშვნებში ან სხვაგან რაიმე განმარტებითი ინფორმაციის გამჟღავნების გზით.

მომავალი ეკონომიკური სარგებლის ალბათობა

ფინანსური ანგარიშგების ამა თუ იმ ელემენტის თავდაპირველი აღიარების კრიტერიუმში ალბათობის ცნებას იყენებენ მომავალი ეკონომიკური სარგებლის საწარმოში შემოსვლის ან საწარმოდან გასვლისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის დასადგენად. მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოძრაობისთვის დამახასიათებელი განუსაზღვრელობის ხარისხის შეფასება ეყრდნობა იმ მტკიცებულებებს/ინფორმაციას, რომელიც ეხება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებულ პირობებს/გარემოებებს, როდესაც მზადდება ფინანსური ანგარიშგება. ამგვარი შეფასებები ცალ-ცალკე კეთდება ყველა ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი მუხლისთვის და ასევე ინდივიდუალურად უმნიშვნელო მუხლებისგან შემდგარი დიდი ჯგუფისთვის.

აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასება

შეფასება არის ფულადი სიდიდეების განსაზღვრის პროცესი, რომლის მიხედვითაც ხდება აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება საწარმოს ფინანსურ ანგარიშგებაში. ეს პროცესი გულისხმობს შეფასებისთვის გარკვეული საფუძვლის შერჩევას. წინამდებარე სტანდარტი ადგენს, შეფასების რომელი საფუძველი უნდა გამოიყენოს საწარმომ სხვადასხვა ტიპის აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების შეფასებისთვის.

შეფასების ორი ყველაზე გავრცელებული საფუძველია პირვანდელი ღირებულება და რეალური ღირებულება:

- აქტივების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. ვალდებულების პირვანდელი ღირებულება არის მიღებული ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან ვალდებულების სანაცვლოდ მიღებული არაფულადი აქტივების რეალური ღირებულება ვალდებულების წარმოქმნის მომენტისათვის, ან, ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, მოგების გადასახადისთვის), იმ ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, რომლის საწარმოდან გასვლა მოსალოდნელია ვალდებულების დასაფარად საწარმოს ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამორტიზებული პირვანდელი ღირებულება

არის აქტივის ან ვალდებულების პირვანდელ ღირებულებას პლუს, ან მინუს მისი პირვანდელი ღირებულების ის ნაწილი, რომელიც ადრე აღიარებული იყო როგორც ხარჯი, ან შემოსავალი;
- რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიცვალოს ან ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ გარიგებაში. ისეთ სიტუაციაში, როდესაც ნებადართულია ან მოითხოვება რეალური ღირებულების შეფასება.

შეფასება თავდაპირველი აღიარებისას
თავდაპირველი აღიარებისას საწარმომ აქტივები და ვალდებულებები უნდა შეაფასოს პირვანდელი ღირებულებით, თუ წინამდებარე სტანდარტით სხვა საფუძვლის გამოყენება არ მოითხოვება, როგორიცაა, მაგალითად რეალური ღირებულება.
შემდგომი შეფასება
ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

უმცირესი ღირებულებებით აქტივების შეფასების მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ აქტივები შეფასებული არ იყოს იმაზე უფრო დიდი ღირებულებით, რა სიდიდის სარგებლის მიღებასაც მოელის საწარმო აქტივის გაყიდვის ან გამოყენების შედეგად.
არაფინანსური ვალდებულებები
ფინანსური ვალდებულებების გარდა, ყველა სხვა ვალდებულების უმეტესობა აღიარდება იმ თანხის ოდენობის საუკეთესო შეფასებით, რომელიც საჭიროა ვალდებულების დასაფარად საანგარიშგებო თარიღისათვის.

ფუნქციონალური ვალუტა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ყველა ელემენტის საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც ეს კომპანია ახორციელებს საქმიანობას (“ფუნქციონალური ვალუტა”). კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი („ლარი“). კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:
იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; და
გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

ისეთი ელემენტები, როგორიცაა სათადარიგო ნაწილები, დამხმარე მოწყობილობები და ტექმომსახურებისა და რემონტისთვის განკუთვნილი მოწყობილობები აღიარდება წინამდებარე განყოფილების შესაბამისად, როდესაც ისინი აკმაყოფილებს ძირითადი საშუალების განმარტებას. სხვა შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც მარაგი.

საწარმომ ძირითადი საშუალება თავდაპირველი აღიარებისას უნდა შეაფასოს თვითღირებულებით.

ძირითადი საშუალების თვითღირებულება განისაზღვრება აღიარების თარიღისთვის გადასახდელი მიმდინარე ფასის ეკვივალენტური ოდენობით. თუ გადახდა გადავადებულია და საკრედიტო პერიოდი აღემატება სტანდარტულ პერიოდს, მაშინ ძირითადი საშუალების თვითღირებულება იქნება ყველანაირი სამომავლო გადასახდელების დღევანდელი ღირებულება.

თავდაპირველი აღიარების შემდეგ, საწარმომ ყველა ძირითადი საშუალება უნდა აღრიცხოს მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

საწარმომ აქტივის ცვეთადი ღირებულება უნდა გაანაწილოს სისტემატურ საფუძველზე, მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

ცვეთა. მიწასა და მიმდინარე მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. ქონების, მოწყობილობებისა და აღჭურვილობის სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ძირითადი საშუალებების ობიექტებს ცვეთა ყოველთვიურად ექსპუატაციაში შესვლის მეორე თვიდან. ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების მთელი პერიოდის განმავლობაში. ძირითადი საშუალებების ჯგუფებისათვის დადგენილია სასარგებლო ექსპლუატაციის ვადების შემდეგი მოსალოდნელი ვადები:

ძირითადი საშუალებების ჯგუფები	სასარგებლო მომსახურების ვადა, წლები
შენობა, ნაგებობები	**20**
მცურავი საშუალებები	**12**
ავეჯი და საოფისე მოწყობილობები	**5**
სხვა	**5**

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც კომპანია ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება

გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები ცალკეულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. მოგების გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნება მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშგება ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. მოგების გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება მოგება-ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის ანგარიშში.

2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით (2017 წლამდე მოქმედი მოდელით კომპანიის მოგებას გადასახადამდე 15%-იანი გადასახადი ერიცხებოდა იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიშვებოდა). აღნიშნულ ცვლილებას მყისიერი ეფექტი ჰქონდა გადავადებული საგადასახადო აქტივებისა და გადავადებული საგადასახადო ვალდებულებების ნაშთებზე, რომლებიც წინა პერიოდებში აღიარებული დროებითი სხვაობებით იყო გამოწვეული.

საქართველოს საგადასახადო კოდექსის ახალი, ზემოთ აღწერილი ვარიანტი აგრეთვე ითვალისწინებს მოგების გადასახადის დარიცხვას გარკვეულ ტრანზაქციებზე, რომლებიც მოგების განაწილებად ითვლება. ასეთებია, მაგალითად, ზოგიერთი ტრანზაქცია, რომელიც არასაბაზრო ფასით მიმდინარეობს, მოიცავს ბიზნესთან არადაკავშირებულ ხარჯებს ან მომსახურების უფასოდ მიწოდებას.

მარაგები. საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.
მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც

გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.
საწარმომ ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უნდა შეაფასოს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება (მაგალითად, ეს შეიძლება გამოწვეული იყოს მარაგის დაზიანებით, მისი მოძველებით ან გასაყიდი ფასების დაცემით). იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურდა, ამ პუნქტების მიხედვით, საწარმომ მარაგი უნდა შეაფასოს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და აღიაროს გაუფასურების ზარალი. ზემოაღნიშნული პუნქტები, ზოგიერთ შემთხვევაში, ასევე მოითხოვს წინა პერიოდებში აღიარებული გაუფასურების ზარალის აღდგენას.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შესაძლო გაუფასურების დანაკარგი აღირიცხება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება.

მიუღებელი (უიმედო) აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების შემდგომში ამოღებული ნაწილი მიუკუთვნება მოგება-ზარალის უწყისში გაუფასურების ზარალის ანგარიშს.

გადახდილი ავანსები აღირიცხება თვითღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების რეზერვი. გადახდილი ავანსი არამიმდინარედ აისახება, როცა გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის მოსალოდნელი ერთი წლის ვადაში ან როცა გადახდილი ავანსი დაკავშირებულია იმ აქტივთან, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას არამიმდინარედ იქნება კლასიფიცირებული. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები აქტივის საბალანსო ღირებულებაში გადადის, როგორც კი კომპანია ამ აქტივზე ამყარებს კონტროლს და არსებობს იმის ალბათობა, რომ კომპანია მიიღებს ამ აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს.

სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. თუ არსებობს იმის ნიშნები, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება შეიძლება არ მოხდეს, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულადი ექვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოთხოვნამდე დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე

ან უფრო ნაკლებია. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

განკარგვის უფლებით შეზღუდული ფულადი ნაშთები ბანკის დეპოზიტის ჩათვლით ამოღებულია ფული და ფულის ექვივალენტებიდან ფულადი სახსრების ანგარიშგებისთვის. ნაშთები, რომლებიც აკრძალულია გაცვლისათვის ან გამოიყენება ვალდებულების დასაფარად სულ მცირე ანგარიშგების პერიოდის თორმეტი თვის შემდეგ წარმოდგენილია შეზღუდულ დეპოზიტებში ფინანსური პოზიციის ანგარიშგებაში.

სააქციო კაპიტალი. საზოგადოების სააქციო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესების მიერ. ცვლილებები კომპანიის წესდებაში (სააქციო კაპიტალში, მფლობელობაში და სხვა ცვლილებების ჩათვლით) იქნება განხორციელებული მხოლოდ კომპანიის მფლობელების გადაწყვეტილებაზე დაყრდნობით. უფლებამოსილი კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში იმ ზომით, რომლის მიხედვითაც ის გადანაწილდა კომპანიაზე მფლობელების მიერ.

ყველა ფულადი ან მატერიალური კონტრიბუციები (წილი), რომელიც განხორციელდა კომპანიის მფლობელების მიერ რომლებიც განსაზღვრული იყო კომპანიის საწესდებო კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის არის აღიარებული, როგორც გადახდილი კაპიტალი.

დივიდენდები. დივიდენდები ვალდებულებად აღირიცხება და კაპიტალიდან გამოიქვითება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა და დამტკიცდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისთვის გადახდას ექვემდებარება პროდუქციისა თუ მომსახურების კლიენტებისთვის მიწოდებისთანავე. შეძენილ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის დაბრუნება ჩვეულებრივ შესაძლებელია გაყიდულ პროდუქციაზე თუ მომსახურებაზე დარიცხული დღგ-ის ხარჯზე დღგ-ის ანგარიშფაქტურის მიღებისთანავე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ის ნეტო ანგარიშსწორებას. გაყიდვასთან და შესყიდვასთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში აისახება ნეტო მეთოდით. თუ დებიტორული დავალიანებების გაუფასურების რეზერვი შექმნილია, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი (ბრუტო) თანხის გათვალისწინებით, დღგ-ის ჩათვლით.

სესხები. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები არის საპროცენტო და სხვა დანახარჯები, რომლებსაც საწარმო ეწევა ნასესხები სახსრების მიღებასთან დაკავშირებით. ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯებია: (ა) ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით გაანგარიშებული საპროცენტო ხარჯი, - „ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები“-ს მიხედვით; (ბ) ფინანსურ იჯარასთან დაკავშირებული ფინანსური ხარჯები, - „იჯარა“-ის - შესაბამისად; და (გ) უცხოურ ვალუტაში აღებულ სესხებთან დაკავშირებით წარმოქმნილი საკურსო სხვაობების ის ნაწილი, რომელიც მიიჩნევა საპროცენტო დანახარჯების კორექტირებად.
საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული ყველანაირი დანახარჯი უნდა აღიაროს როგორც ხარჯი იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

სავაჭრო და სხვა დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როცა კონტრაგენტი ასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს და ამგვარი დავალიანებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

უცხოურ ვალუტაში გადაანგარიშება. კომპანიის საოპერაციო და საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კომპანიის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სებ-ის მიერ გამოქვეყნებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის ან ზარალის სახით. კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით აღრიცხულ არაფულად პუნქტებთან მიმართებით. რეალური ღირებულებით წარმოდგენილი არაფულადი პუნქტების, მათ შორის, სააქციო ინვესტიციების, გადაყვანა ხორციელდება რეალური ღირებულების განსაზღვრის დღეს არსებული სავალუტო კურსების გამოყენებით.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის, ოფიციალური გაცვლითი კურსი, როგორც ეს განსაზღვრულია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, იყო:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017	31 დეკემბერი 2016
ლარი/1 აშშ დოლარი	2.6766	2.5922	2,6468
ლარი/1 ევრო	3.0701	3,1044	2,7940

შემოსავლის აღიარება. შემოსავლის აღიარება აქტივებისა და ვალდებულებების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ შემოსავალი უნდა აღიაროს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარდგენილია) იმ შემთხვევაში, როდესაც იზრდება აქტივის ზრდასთან ან ვალდებულების შემცირებასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

შემოსავლის აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. შემოსავლების გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი იზომება მიღებული ანაზღაურების ან მოთხოვნის რეალური ღირებულებით და მცირდება საქონლის მოსალოდნელი დაბრუნების, ფასდათმობისა და სხვა მსგავსი შეღავათების საფუძველზე.

ხარჯები
ხარჯების აღიარება აქტივებისა და ვალდებულების აღიარებისა და შეფასების პროცესის პირდაპირი შედეგია. საწარმომ უნდა აღიაროს ხარჯი სრული შემოსავლის ანგარიშგებაში (ან მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, მისი წარდგენის შემთხვევაში) იმ შემთხვევაში, როდესაც მცირდება აქტივის შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი და ამგვარი ცვლილების სიდიდის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია.

ფინანსური ანგარიშგებების შესწორება გამოყენების შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება ფინანსურ ანგარიშგებაში, ფინანსური ანგარიშგების გამოცემის შემდეგ, საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის დადასტურებას, რომელთა მიერ მოხდა ამ ფინანსური ანგარიშების გამოსაცემად უფლებამოსილების მინიჭება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები, და მოსაზრებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში

კომპანია იყენებს პროგნოზებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენენ ფინანსურ ანგარიშგებებში მოცემულ თანხებზე და აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების თანხებზე მომავალ საანგარიშო პერიოდში. პროგნოზებისა და შეფასებების ანალიზი ტარდება მუდმივად და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების მოლოდინებს, რომლებიც გონივრულია არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა ასევე იყენებს შეფასებებს (იმათ გარდა, რომლებიც მოიცავენ პროგნოზებს) აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში. ის შეფასებები, რომელთაც ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე და ის პროგნოზი, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი შესწორება, მოიცავს:

ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი. მენეჯმენტმა ფინანსური ანგარიშგება მოამზადა, როგორც მოქმედმა საწარმომ, რაც ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში. ამ შეფასების გამოყენებისას, მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე სასაქონლო-მატერიალური მარაგები, ოპერაციების მომგებიანობა და ფინანსურ რესურსებზე წვდომა, და გაანალიზა ფინანსურ ბაზრებზე არსებული მდგომარეობის გავლენა კომპანიის ოპერაციებზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშება შეფასების საქმეა და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შთანთქმა ძირითადად მოხმარების მეშვეობით ხდება. ამასთან, სხვა ისეთი ფაქტორებიც, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა ხშირად იწვევს ამ აქტივებში ჩადებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მნიშვნელოვნად შემცირებას. მენეჯმენტი დარჩენილი სასარგებლო გამოყენების ვადების გაანგარიშებას ახორციელებს აქტივების მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობისა და იმ საანგარიშო პერიოდის გათვალისწინებით, რომლის განმავლობაშიც მოსალოდნელია კომპანიის მიერ ამ აქტივებიდან სარგებლის მიიღება. მხედველობაში მიიღება შემდეგი ძირითადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება; (ბ) მოსალოდნელი ფიზიკური ცვეთა, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ტექმომსახურების გეგმაზე; და (გ) საბაზრო პირობებში მომხდარი ცვლილებებით გამოწვეული ტექნიკური და კომერციული მოძველება.

უიმედო ვალების რეზერვი. კომპანია, კლიენტების გადახდისუუნარობით გამოწვეული სავარაუდო დანაკარგების აღსარიცხად, ქმნის რეზერვს. მისი საკმარისობის შეფასებისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მიმდინარე ზოგად ეკონომიკურ პირობებს, სავაჭრო მოთხოვნების ნაშთების ვადიანობას, ჩამოწერის ისტორიულ გამოცდილებას, კლიენტის კრედიტსაიმედოობასა და გადახდის პირობების ცვლილებას. ეკონომიკის, დარგის თუ კლიენტის მდგომარეობის ცვლილებამ შეიძლება მოითხოვოს უიმედო ვალების რეზერვის მოდიფიცირება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები

შპს ”BLACK SEE PILOT SERVICE”- ეწევა ლიცენზირებად საქმიანობას, რაზედაც მიღებული აქვს ეკონომიკია და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს სალოცმანო სამსახურის სერთიფიკატი #010, აკმაყოფილებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ, საზღვაო სალოცმანო მომსახურების მოთხოვნებს და უფლება აქვს განახორციელოს სალოცმანო მომსახურება ბათუმის ნავსადგურში.

შპს **”BLACK SEE PILOT SERVICE”**-ს სალოცმანო მომსახურებაზე კლიენტ კომპანიებთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულებები. რითაც შპს **”BLACK SEE PILOT SERVICE”**, როგორც შემსრულებელი კომპანია ვალდებულია შემკვეთის მიერ აგენტირებად მცურავ საშუალებებს (გემებს) გაუწიოს სალოცმანო მომსახურება (გაცილება) ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მისასვლელებთან და აკვატორიის ფარგლებში.
საქართველოს საზღვაო კოდექსის 87–ე მუხლის შესაბამისად, სალოცმანო მომსახურება ნიშნავს ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მისასვლელებთან და აკვატორიის ფარგლებში გემების სალოცმანო გაცილებას.

სალოცმანო მომსახურების ტარიფის განაკვეთია 0,25 დოლარი 1 კუბურ მეტრზე; ასევე ვრცელდება ფასდაკლებები

ერთ სრულ სალოცმანო ოპერაციას წარმოადგენს გემის ნავსადგურის აკვატორიაში (შიდა და გარე რეიდის ჩათვლით) შეყვანა ან გაყვანა, ნავსადგურთან მიბმა, ან ნავსადგურიდან მოხსნა, ნავსადგომიდან რეიდზე (შიდა და გარე) გაყვანა, ან რეიდიდან (შიდა და გარე) ნავმისადგომთან მიბმა, ნავმისადგომიდან ნავმისადგომზე გადაყვანა.
სხვა ნავმისადგომიდან უნავმისადგომო ნავმისაბმელთან, და პირიქით, უნავმისადგომო ნავმისაბმელიდან სხვა ნავმისადგომთან, გემის გადაყვანისათვის აუცილებელი სალოცმანო ოპერაციის წარმოების ტექნიკური ასპექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, განხორციელებული სალოცმანო მომსახურება, ფაქტიურად ჩატარებული სალოცმანო ოპერაციების გათვალისწინებით, ითვლება ორ, ერთმანეთისგან დამოუკიდებელ, გემის გაყვანის (ნავმისადგომიდან მოხსნის) და შემოყვანის (ნავმისადგომთან მიბმის), ოპერაციებად და დაითვლება შესაბამისად.
მომსახურების ტარიფის გადახდა ხორციელდება გემის პირობითი მოცულობის შესაბამისად (მ3), რომელიც განისაზღვრება გემის განზომილებათა მოწმობით ან მისი შემცვლელი სხვა დოკუმენტით გათვალისწინებული სამი სიდიდით: გემის უდიდესი სიგრძით, გემის უდიდესი სიგანით და გემის ბორტის უდიდესი სიმაღლით.
კარჭაპი (ბარჟა) – ბუქსირის შემადგენლობის ქარავნებისა თუ სხვა მცურავი ობიექტების შემადგენლობათა მოცულობა განისაღვრება, როგორც ცალკეული ელემენტების ჯამი.
უქმე დღეებში სალოცმანო მომსახურების ტარიფის განაკვეთი იზრდება 25%–ით ყველა გემისათვის.
სალოცმანო მომსახურების ტარიფის გაანგარიშებისას, იმ ტანკერებისათვის, რომელთაც აქვთ ორმაგი ფსკერი, ორმაგი ბორტი ან იზოლირებული ბალასტის ტანკები, მათი პირობითი მოცულობა მრავლდება კოეფიციენტზე – 0.85, გემის (აგენტის) მიერ ზღვის ნავთობით დაბინძურების თავიდან აცილების საერთაშორისო მოწმობის (IOPP) წარმოდგენის შემთხვევაში.
ნავსადგურში სახაზო განრიგით შემავალი სატვირთო გემები და „ეროვნული გადამზიდავი“ სამგზავრო გემები სარგებლობენ 20%–იანი ფასდაკლებით.
თუ გემის პირობითი მოცულობა ნაკლებია 5000 კუბურ მეტრზე, მაშინ გემის პირობითი მოცულობა იანგარიშება, როგორც 5000 კუბური მეტრი.

ლოცმანისათვის ტექნიკურად გაუმართავი ან/და არასაკმარისად მართვადი გემის დაყენების მოთხოვნის შემთხვევაში სალოცმანო მომსახურების ტარიფის განაკვეთი იზრდება 50%–ით.

შემსრულებლის მიერ მომსახურება მიწოდებულად ჩაითვლება შემკვეთისადმი მომსახურების გაწევის შესახებ შესაბამისი ანგარიშის (ინვოისი), ჩაბარების მომენტიდან.

გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ანგარიშსწორების დღისათვის ევროს მიმართ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად ლარებში.

მომსახურებისათვის ანგარიშსწორება ხორციელდება მომსახურების მიწოდების მომენტიდან 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში.

4. ძირითადი საშუალებები

ქვემოთ წარმოდგენილია ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების მოძრაობა:

	შენობა	*მანქანა დანადგარები*	ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა	კატარღის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
ღირებულება 31 დეკემბერი 2016	**58,492**	**3,391**	**18,967**	**3,461**	**561,188**	**645,500**
ჩამოწერა		(157)	(2,402)	**(295)**		
რეალიზაცია					**(20,720)**	
შესყიდვა	2,980	62	894	**4,342**	**65,820**	
ღირებულება 31 დეკემბერი 2017	**61,472**	**3,295**	**17,459**	**7,508**	**606,288**	**696,023**
ჩამოწერა			(2,302)	(87)		
შესყიდვა			2,518	**42**		
ღირებულება 31 დეკემბერი 2018	**61,472**	**3,295**	**17,675**	**7,464**	**606,288**	**696,194**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2017	**3,074**	**659**	**3,483**	**1,501**	**55,304**	**64,021**
დაგროვილი ცვეთა 31 დეკემბერი 2018	**5,994**	**1,186**	**6,313**	**2,952**	**105,833**	**122,278**
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2017	**58,399**	**2,636**	**13,976**	**6,007**	**550,983**	**632,000**
31 დეკემბერი 2018	**55,479**	**2,109**	**11,362**	**4,511**	**500,455**	**573,915**

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებები იპოთეკით დატვირთულია თი ბი სი ბანკში მიღებული კრედიტის სანაცვლოდ.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა მაშინ იწყება, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ,

როდესაც აქტივი არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რაც აუცილებელია აქტივის გამოსაყენებლად, ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნებისათვის. კომპანიას ბალანსზე ერიცხება შენობა - საოფისე ფართი, რომელიც განთავსებულია ბათუმი პლაზას ტერიტორიაზე. 2016 წელს გაიყიდა სალოცმანო კატარღა LK-93 და შეძენილ იქნა ახალი კატარღა LOYD 153 Motor Boat.

5. მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში

შპს ”BLACK SEE PILOT SERVICE”-ს ფლობს 100%-იან წილს შპს “PORT PILOT”-ში. ბალანსის შედგენის თარიღისათვის განხორციელებული ინვესტიცია შეადგენს 1 781 745 ლარს.

	31.12.2018	31.12.2017
<u>გრძელვადიანი ინვესტიციები</u>	<u>*1 781 745*</u>	<u>*1 168 990*</u>
მონაწილეობა სხვა საზოგადოებაში	1 781 745	1 168 990
BATUMI PORT POLIT	1 781 745	1 168 990

6. მარაგები

კომპანიას გააჩნია მარაგი - დიზელის საწვავის, ბენზინის, ძრავის ზეთი, ძრავის ზეთის ფილტრები, ძრავის წყლის ფილტრები, წყლის რეაქტორის ფილტრი და ზეთი, რომელიც გამოიყენება სალოცმანო კატარღაზე, საღებავები, რომელიც განკუთვნილია სალოცმანო კატარღის მიმდინარე რემონტისათვის.

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	**31 დეკემბერი 2017**
სავაჭრო მოთხოვნები		6671
მოთხოვნები სალოცმანო მომსახურებაზე	13161	(18837)
მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ	(511)	(511)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**12650**	**(12677)**

კომპანია ახდენს ანალიზურ აღრიცხვას დებიტორული დავალიანებებზე სააგენტო კომპანიების მიხედვით. ასევე ხდება საეჭვო ვალების ანალიზი და უიმედო ვალები ჩამოიწერება ხარჯებში. დებიტორებზე მოთხოვნები დასტურდება ცალკეული კომპანიების მიხედვით შედგენილი შედარების აქტებით.

8. ფული და ფულის ეკვივალენტები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ფული და ფულის ექვივალენტების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	55 556	9 336
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	53 304	11 331
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	**108 860**	**20 667**

ფულადი ნაშთები 2018 და 2017 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით შეესაბამება ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში ასახულ ნაშთებს.

9. საწესდებო კაპიტალი

შპს ”BLACK SEE PILOT SERVICE”-ს საწესდებო კაპიტალი ოდენობა შეადგენს 13930 (ცამეტი ათას ცხრაასოცდაათი) ლარს.

კომპანიის პარტნიორები არიან 4(ოთხი) ფიზიკური პირი. წილი პარტნიორებს შორის გადანაწილებულია შემდეგნაირად

- მამუკა თალაკვაძე – საწესდებო კაპიტალსა და საზოგადოებაში წილის – 35%;
- ირაკლი ფარსენაძე- საწესდებო კაპიტალსა და საზოგადოებაში წილის - 35%;
- კახაბერ სარჯველაძე - საწესდებო კაპიტალსა და საზოგადოებაში წილის - 15%;
- მუთაზ დევაძე - საწესდებო კაპიტალსა და საზოგადოებაში წილის - 15%;

საზოგადოების დივიდენდების განაწილების პრინციპი განისაზღვრება პარტნიორთა მიერ დამტკიცებული წლიური ბალანსის საფუძველზე საზოგადოების სამუშაო კაპიტალის, კაპიტალური დანახარჯების, დავალიანებისა და სხვა ფინანსური მოთხოვნების გათვალისწინებით.

2018 წლის შედეგით ჯერ არ გამოცხადებულა პარტნიორებზე გასაცემი დივიდენდები.

10. ბანკის სესხი

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სესხების ბალანსები მოიცავს შემდეგს:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადიანობა	ეკვივალენტი ლარი
სს თი ბი სი ბანკი	დოლარი	7.5%	5.01.2021	240,004
სს თი ბი სი ბანკი	დოლარი	7.5%	6.02.2022	43,406
სს თი ბი სი ბანკი	დოლარი	8.5%	20.12.2019	107,064
სულ სესხები				**390,474**

კომპანიას ერიცხება გრძელვადიანი საკრედიტო ვალდებულება სს „თი ბი სი ბანკი“-ს მიმართ 250 000$, წლიური 7,5%. 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება ნარჩენი ვალდებულება - 127 996,23 $, რომელიც გადაფასებულია 31 დეკემბრის ეროვნული ბანკის კურსით.
ასევე 2017 წელს აიღო კრედიტი 24000 აშშ დოლარი 7,5%-ით, ავტომანქანის შესაძენად.

11. შემოსავალი

შპს ”BLACK SEE PILOT SERVICE” შემოსავლების დარიცხვას ახდენს დარიცხვის მეთოდით ბასს სტანდარტების შესაბამისად. ახდენს ინვოისის გამოწერას გემის შემოსვლისა და გასვლის სალოცმანო ქვითრებით გემის გასვლის თარიღით სააგენტო კომპანიების მიხედვით. რეგისტრირებულია დღგ გადამხდელად ბათუმის საგადასახადო ინსპექციაში და მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო კოდი 245621625, დღგ სერთიფიკატის #087298.
კომპანიას გაფორმებული აქვს სალოცმანო მომსახურებაზე ყველა კომპანიასთან სალოცმანო მომსახურება, რის საფუძველზეც აგენტირებად მცურავ საშუალებებს (გემებს) უწევს სალოცმანო მომსხაურებას (გაცილებას) ბათუმის საზღვაო ნავსადგურის მიმსასვლელებთან და აკვატორიის ფარგლებში.
შპს ”BLACK SEE PILOT SERVICE”-ს საქმიანობა ლიცენზირებადია, რისთვისაც ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ერთიანი სატრანსპორტო ადმინისტრაციის მიერ გაცემულია ლოცმანის სამსახურის სერთიფიკატი #010, რითაც უფლება აქვს განახორციელოს სალოცმანო მომსახურება ბათუმის ნავსადგურში. სერთიფიკატის მოქმედების ვადაა 2020 წლის 27 იანვრამდე.

კომპანიის შემოსავლის წყაროა სალოცმანო სატრანსპორტო მომსახურება, კერძოდ:

	2018	2017
სალოცმანო მომსახურება:		
შემოყვანა	1 570 035	1648445
გაყვანა	1 583 673	1645813
გადაყენება	3055	662
ღამის ტარიფი	150 775	75700
სადღესასწაულო ფასნამატი	28 874	27 658
მანქანის რეალიზაცია		14 671
ფასდათმობა	-520130	-491331
სულ შემოსავალი	**2 816 282**	**2 921 618**

12. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები შედგება შემდეგი მუხლებისაგან:

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	1501425	1368309
კომუნიკაციის ხარჯები	8677	8149
საკონსულტაციო ხარჯები	11530	10454
დაზღვევის ხარჯი	44706	38665
უწყვეტი მონიტორინგის ხარჯი	169856	163753
ცვეთა და ამორტიზაცია	58172	64278
ქონების გადასახადი ხარჯი	6045	6406
ტერმინალში დგომის ხარჯი	1695	5337
სპეცტანსაცმლის ხარჯი	2248	3826
წარმომადგენლობითი ხარჯი	1361	2287
საეჭვო მოთხოვნ. დაკავშირებული ხარჯები		1868
სხვა ხარჯები	36154	44 954
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	**1 841 870**	**1 718 283**

13. სხვა არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი და ხარჯი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები შედგება შემდეგისაგან:

	2018	2017
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან	923	
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		12044
სულ არასაოპერაციო/ფინანსური შემოსავალი, წმინდა	**923**	**12044**

	2018	2017
ხარჯი საკურსო სხვაობიდან	897	2650
საპროცენტო ხარჯი	24441	32825
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	10341	1310
სულ არასაოპერაციო/ფინანსური ხარჯი, წმინდა	**35679**	**36 786**

14. პირობითი და ნაკისრი ვალდებულებები

სამართლებრივი პროცედურები. პერიოდულად და ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში, კომპანიის მიმართ შეიძლება წარმოდგენილი იყოს მოთხოვნები. ანგარიშგების თარიღისთვის, მენეჯმენტი არ არის საქმის კურსში კომპანიის მიმართ რაიმე მოთხოვნის თაობაზე, რომელსაც შესაძლებელია გავლენა ჰქონდეს კომპანიის ფინანსურ პოზიციაზე.

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანია მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და რომ დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებისათვის ინფორმაციაზე წვდომა ღიაა სამი წლის განმავლობაში.

საოპერაციო გარემო. საქართველო, როგორც განვითარებადი ბაზარი, ხასიათდება ისეთი რისკებით, რომლებიც არ არსებობს განვითარებული ბაზრების უმეტესობაზე, მათ შორის ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური, იურიდიული და საკანონმდებლო. წესები და კანონები, რომლებიც გავლენას ახდენს ბიზნესზე საქართველოში, კვლავ ექვემდებარება სწრაფ ცვლილებებს. საქართველოში საგადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ფისკალურ და ფულადი ღონისძიებების ეფექტურობაზე, საკანონმდებლო, რეგულირების და პოლიტიკური განვითარების პარალელურად.

15. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის, სავალუტო რისკს, საპროცენტო რისკს და სხვა საფასო რისკს), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკების მართვის ძირითადი ამოცანებია: რისკების ლიმიტების დადგენა და შემდეგ რისკების მაჩვენებლების ამ ლიმიტების ფარგლებში შენარჩუნება. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის მიზანია შიდა პროცედურების სათანადო ფუნქციონირების უზრუნველყოფა საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მინიმუმამდე დასაყვანად.

საკრედიტო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ფინანსური ინსტრუმენტის ერთი მხარის ფინანსური ზარალის რისკს

იმ შემთხვევაში, თუ მეორე მხარე დროულად ვერ შეასრულებს თავის ვალდებულებას. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს კომპანიის მიერ კონტრაგენტებზე კრედიტით გაყიდული პროდუქტებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

კომპანიაზე საკრედიტო რისკის მაქსიმალური გავლენა აქტივების კლასების მიხედვით ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში წარმოდგენილ ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში:

	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2017
ფული და ფულის ექვივალენტი	108 860	20 667
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13 161	6 671
კრედიტორული დავალიანებები	73 571	18 899
სულ	**195 592**	**46 237**

საბაზრო რისკი. კომპანიაზე გავლენას ახდენს საბაზრო რისკი. საბაზრო რისკი გამომდინარეობს (ა) უცხოურ ვალუტაში, (ბ) პროცენტიან აქტივებში და ვალდებულებებში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს მისაღები რისკის მოცულობაზე და ამ მოცულობაზე ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამორიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკების ქვემოთ წარმოდგენილი გავლენა ეფუძნება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას ყველა სხვა ფაქტორის უცვლელობის პირობებში. პრაქტიკაში ეს სავარაუდოდ არ მოხდება და ზოგიერთ ფაქტორში მომხდარი ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს. ამის მაგალითია საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსის ცვლილებები.

31 დეკემბერი 2017

	GEL	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044	ეკვივალენტი ჯამი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	9,336	4,367	4	**20,667**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6,671			**6,671**
სულ ფინანსური აქტივები	16,007	4,367	4	**27,338**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	18,899			**18,899**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**18,899**			**18,899**

31 დეკემბერი 2018

	GEL	USD 1 = 2.5922 GEL	EUR 1 = 3.1044	ეკვივალენტი ჯამი
ფინანსური აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	55,556	19,911	4	**108,860**
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		4,917		**13,161**
სულ ფინანსური აქტივები	55,556	24,828	4	**122,021**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	73,571			**73,571**
სულ ფინანსური ვალდებულებები	**73,571**			**73,571**

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი განიმარტება, როგორც რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შეიცვლება უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობასთან ერთად. კომპანია ახორციელებს უცხოურ ვალუტებში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. სავალუტო რისკდამოკიდებულების სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს კომპანია არ იყენებს.

ზემოთ წარმოდგენილი ანალიზი მოიცავს მხოლოდ ფულად აქტივებსა და ვალდებულებებს. ითვლება, რომ არაფულადი აქტივები რაიმე მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ წარმოშობს.

კაპიტალის რისკი. კომპანია კაპიტალს მართავს იმის უზრუნველსაყოფად, რომ კომპანიამ შეძლოს ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსით საქმიანობის გაგრძელება, ხოლო აქციონერებმა, სესხისა და საკუთარი კაპიტალის ბალანსის ოპტიმიზების გზით, მაქსიმალურად გაზარდონ თავიანთი უკუგება.

საპროცენტო რისკი. კომპანია საპროცენტო რისკის სამართავად წარმოებულ ინსტრუმენტებს არ იყენებს. თუმცა, კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გარკვეული ნაწილი ფიქსირებულ განაკვეთიანია და, ამდენად, რისკი მცირეა.

ლიკვიდურობის რისკი. ლიკვიდურობის რისკის მართვისთვის ხელმძღვანელობა აკონტროლებს საკმარისი ფულადი სახსრების ქონას, ასევე დაფინანსების წყაროების ხელმისაწვდომობას და უნარს დაფაროს ყველა ვალდებულება. კომპანია ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მოქნილობას მომწოდებლის მიერ კრდიტორული ლიმიტის შენარჩუნების გზით.

ფულადი ნაკადების პროგნოზირება ხორციელდება კომპანიის საოპერაციო განყოფილების მიერ და აგრეგირდება კომპანიის საფინანსო განყოფილების მიერ. კომპანიის საფინანსო განყოფილება იმ ლიკვიდურობის მოთხოვნის მონიტორინგს ატარებს რომელიც მას ჭირდება რწმუნებისთვის რომ გააჩნია საკმარისი ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობისთვის.

სამუშაო კაპიტალისთვის საჭიროზე მეტი ფულადი სახსრებით იფარება სარეალიზაციო საქონლის მომწოდებლის კრედიტორული დავალიანება რომელიც აღრიცხულია მოკლევადიან ვალდებულებად, კომპანიას აქვს განზრახული მიღებული მოგების ხარჯზე მოზიდული ფულადი სახსრებით მაქსიმალურად შეამციროს კრედიტორული დავალიანების ნაშთი, კომპანიის უნარის, დაფაროს სხვა არაურთიერდამოკიდებული კრედიტორების დავალიანება, გაუარესების გარეშე.

16. ბალანსები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

ზოგადად, მხარეები დაკავშირებულად ითვლებიან, თუ ისინი საერთო კონტროლის ქვეშ არიან ან ერთ მხარეს აქვს მეორე მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია

მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ან ერთობლივი კონტროლი განახორციელოს მეორე მხარეზე ფინანსური და საოპერაციო გადაწყვეტილებების მიღებისას. დაკავშირებული მხარის თითოეული შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის შინაარსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

17. ბალანსის შედგენის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ბალანსის შედგენის შემდეგ რაიმე სახის მნიშვნელოვანი მოვლენა არ მომხდარა.